სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	თბ „ლელო 2“ - თბ „არმია“		
გუნდი	თბ „ლელო 2“	შეჯიბრი	სრკ-ს მიერ ორგანიზებული ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდების შემოდგომის ტურნირი/ფესტივალი.
მატჩის თარიღი	30/11/2023	მატჩის ადგილი	თბილისი, რაგბი პლატო
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	ლელო 2	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი			
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მსაჯი, როინ ბრეგვაძე	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - 8.6 საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას; სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 9.4 (ქცევის კოდექსის დარღვევისთვის და არამართებული ქცევისთვის, სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია დამრღვევ პიროვნებას და მის სრკ-ს წევრ სუბიექტს დააკისროს ქვემოთ ჩამოთვლილი და/ან სხვა შესაბამისი სანქციები.) პუნქტის ა) (გაფრთხილება, გაკიცხვა;), გ) (გაძევება ტურნირის და/ან მატჩების სერიის დარჩენილი ნაწილიდან;) და ზ) (სრკ-ს მიერ ორგანიზებული თამაშების დროს სათამაშო სივრცეში ან სათამაშო პერიმეტრში დაშვების აკრძალვა;)	☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :		

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	12/12/2023	**განხილვის ადგილი**	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე		
დამრღვევის დასწრება	☐ **კი** ☐ **არა**	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, როინ ბრეგვაძის საითინგი;		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის, როინ ბრეგვაძის საითინგი;
2. მატჩის მსაჯის, როინ ბრეგვაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
3. მატჩის მეთვალყურის, ნუგზარ მგელაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
4. ტურნირზე სრკ-ს მიერ დანიშნული მეთვალყურის, ინგა კაზაროვას გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
5. ტურნირის ორგანიზატორის, გიორგი ტყეშელიაძის საითინგი;
6. ტურნირის ორგანიზატორის, ნიკოლოზ გიგინეიშვილის საითინგი.

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

1. ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდის „ლელო 2“-ს მწვრთნელი, გ. ასათიანი გამოკითხვისას დაეთანხმა მსაჯის საითინგში აღნიშნულ გარემოებას იმასთან დაკავშირებით, რომ იგი აპელირებდა მსაჯის გადაწყვეტილებებზე, არ დაეთანხმა მსაჯის ჩანაწერს საითინგში, რომ მისმა აპელირებამ გამოიწვია გულშემტკივრების აყოლიება.მისი განცხადებით თამაშის დასრულების შემდგომ იგი იმყოფებოდა მის გუნდთან, რა დროსაც გაიგო ხმაური და შენიშნა რომ მსაჯი აგინებდა მისი გუნდის მოთამაშის მშობელს რის გამოც მშობელი საპასუხოდ აგინებდა მსაჯს, მივიდა მსაჯთან და სთხოვა გამოსულიყო. მან გამოიყვანა მსაჯი და მივიდა მშობელთან რომ დაეწყნარებინა. ამ დროს მსაჯი ისევ მივარდა „სეტკასთან“ და იგინებოდა რა

დროსაც მსაჯთან მისი გუნდის მეორე მწვრთნელი და მოთამაშეები მივიდნენ და გამოიყვანეს მსაჯი.

2. ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდის „ლელო 1“-ს მწვრთნელის ბ. ყორიაულის განცხადებით მსაჯის გადაწყვეტილებაზე აპელირებას არ ქონია ადგილი მისი მხრიდან, მსაჯის მომართვას „მაშინ თქვენ დამეხმარეთ“ მან უპასუხა „ჩვენ როგორ დაგეხმაროთ”.
3. გუნდის მენეჯერი ოთარ პაკსაშვილი არ დაეთანხმა მსაჯის ჩანაწერს რომ მსაჯის მიმართ აპელირებამ გამოიწვია მათი გულშემატკივარების (მშობლების) აყოლიება. მისი განცხადებით ძალიან სამწუხარო ფაქტი მოხდა თუმცა ძალიან ძნელია თამაშზე ყველა მშობლის გაკონტროლება. მან ასევე განაცხადა რომ ტურნირი იყო ძალიან ცუდად ორგანიზებული, ტურნირს ემსახურებოდა მხოლოდ სამი მსაჯი მთელი დღის განმავლობაში და მათმა მსაჯობის დაბალმა ხარისხმა გამოიწვია მაყურებლის/მოთამაშეთა მშობლების უკმაყოფილება.
4. გუნდის წამომადგენლების განცხადებით მათ ვერ დაინახეს უშუალოდ ვინ მიაყენა მსაჯს ფიზიკური შეურაცხყოფა, თუმცა აღნიშნეს რომ სიტყვიერ შეურაცხყოფას მსაჯს აყენებდა „ლელო-2“-ის მოთამაშის მშობელი, რომელსაც უკვე დაელაპარკნენ და დაგმეს მისი საქციელი და მომავალშიც აპირებენ მოთამაშეთა მშობლების გაფრთხილებას თავი შეიკავონ მსგავსი ქმედებებისგან.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. მატჩის მსაჯის, როინ ბრეგვაძის საითინგის მიხედვით (ციტირება) – „დაახლოვებით მეათე წუთზე 22 მეტრიან ხაზთან დაინიშნა ჯარიმა,ამ დროს ჩათვლის მოედანში,იმყოფებოდა სხვა გუნდი რომელიც ხურდებოდა ,(არმიას)ლომებმა დაარტყა აუტში რა დროსაც ბურთმა არ გადაკვეთა მოედანი და შეეხო კერძოდ იმ გუნდის მოთამაშეს რომელიც ხურდებოდა ჩათვლის მოედანში, გავაჩერე თამაში მოვუწოდე გადასულიყვნენ მოედნიდან ამ დროს კაპიტნები დავიბარე გავესაუბრე და გავამეორებინე ჯარიმა, რასაც მოყვა აპელირება ლელოს მწვრთვნელების მხრიდან (ბექა ყორიაული-გიორგი ასათიანი) მწვრთვნელების აპელირების შემდეგ კლუბ ლელოს მშობლები, რომლებიც იდგნენ ნუცუბიძის ხელოვნური სტადიონის ღობის უკან დაიწყეს შემდეგის სახის შეურაწყოფა და მუქარა (გამოდი გარეთ გელოდები, წესები ისწავლე, მოგკლავ გამოდი და ა.შ. თამაში დასრულდა რის შემდგომაც გამოვედი მოედნიდან და კარებთან მელოდებოდნენ მუქარებით ლელოს მშობლები, ღრიალებდა თავი თავზე მომადო და იყო არა ადეკვატურ მდგომარეობაში, რა დროსაც ხელი ვუბიძგე რომ შემოვბრუნებულიყავი მოედანზე. მემუქრებოდა გარეთ წავყოლოდი რის შემდეგაც სიტუაციის გასამუხტად გამოვერიდე და მოედანზე შევბრუნდი, ამ დროს აგრძელებდა გინებას და მუქარას, მე მაგ დროს ვიდექი მავთულ ღობესთან გინების შემდეგ ხელი დაარტყა მავთულ ღობეს და მომხვდა სახის არეში ,ვერ მოვითმინე სისხლი რომ

დავინახე გავედი გარეთ, ჩემი გასვლის შემდეგ დამხვდა რამოდენიმე ლელოს მშობელი და კიდევ განაგრძეს თავდასხმა ფიზიკურად და სიტყვიერად. ამასობაში ხალხი შემოიკრიბა და განმუხტეს სიტუაცია და მომაშორეს აღნიშნული პირები.“

2. ტურნირის ორგანიზატორის, გიორგი ტყეშელიაძის საითინგის მიხედვით (ციტირება) –„საწყისი ინციდენტისას არ ვიმყოფებოდი სათამაშო არეალში, მოედანზე დაბრუნებისას უცნობი პირისაგან მოვისმინე წინადადება: „ტურას ურტყავენ!“ რის შემდეგაც გავიქეცი შეჯგუფების ადგილას, სადაც მოედნის შიგნით დამხვდა ტუჩგახეთქილი მსაჯი (როინ ბრეგვაძე - „ტურა“), ხოლო მოედნის გარეთ (ზუსტად ხელოვნური სტადიონის გარშემო რკინის ღობის შესასვლელთან) 10-15 გაცხარებული ლელოს გულშემატკივარი, რომელიც აგრძელებდა მსაჯის შეურაცყოფას, მუქარას. მოედნის შიგნიდან მსაჯიც პასუხობდა ანალოგიური წინადადებით. ლელოს თამაშები დამთავრებული იყო, მიუხედავათ ამისა მშობლების ჯგუფი მაინც არ იშლებოდა და უცდიდა მსაჯს ანგარიშსწორების მიზნით (რასაც მუქარის გაგრძელების გამო ვვარაუდობ). უშედეგოდ ვცადე მათი დამშვიდება, რის შემდეგაც მსაჯი მოედნის მეორე მხრიდან გავიყვანე გასახდელებთან, რა დროსაც გამოვკითხე მომხდარის შესახებ. მან მოყვა, რომ არმიას გადაქონდა ჯარიმა კიდეზე, რა დროსაც ჩათვლის მოედანში მოთელვას ატარებდა სხვა გუნდი, რომლის წარმომადგენელსაც მოხვდა ბურთი და ამ მიზეზით ვერ გადავიდა მოედნის გარეთ, რაზეც მსაჯმა გაამეორებინა დარტყმა. ამას დაუყოვნებლივ მოყვა პროტესტი ლელო 2 - ის მწვრთნელების მხრიდან, ხოლო მათ კი აყვა ლელოს გულშემატკივარი (დედის გინებით და მუქარით (გამოხვალ და ნახავ შენ, არ გაცოცხლებ, შენ თუ არ განანო, ეს მსაჯი ყოველთვის ლელოს წინააღმდეგაა და ა.შ.)). თამაშის შემდეგ, როდესაც მსაჯი მიდიოდა გასახდელებისაკენ, მას დახვდა მაყურებელი, მას მოხვდა რამოდენიმე წიხლი, და ხელიც მოუქნიეს, შემდეგ ის შემოსულა მოედანზე და მაყურებლის მიერ ღობეზე ხელის დარტყმის შედეგად მოხვდა ღობის ნაწილი სახეში, და გაუსკდა ტუჩი. ამ დროს მივედი მეც ადგილზე. აღსანიშნავია, როდესაც ვცადილობდი მაყურებლის დამშვიდებას, ვერც ერთი ლელოს მწვრთნელი ვერ შევნიშნე ადგილზე.“

3. ტურნირის ორგანიზატორის, ნიკოლოზ გიგინეიშვილის საითინგის მიხედვით (ციტირება) – „რაგბის კავშირის მიერ ორგანიზებული ბ ლიგის ტურნირ/ფესტივალის II ეტაპი იმართებოდა რაგბი პლატოს ხელოვნურ მოედანზე. თითო თამაში 30 წუთს გრძელდებოდა, ტურნირს 3 მსაჯი ყავდა და ისინი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. სათამაშო დღის ბოლოსწინა შეხვედრაში ლელო 2 - არმიის მატჩი იმსაჯა როინ ბრეგვაძემ და რადგან შემდეგი მატჩის მსაჯობა მას აღარ უწევდა, მატჩის დასრულების შემდეგ გაემართა სტადიონის გასასვლელი კარებისკენ, სადაც მრავლად იდგნენ გუნდების და უმეტესად ლელო 2-ის გულშემატკივრები/მშობლები, სადაც ატყდა ჩოჩქოლი და ხმაური. სიტუაციის უკეთ აღსაქმელად უნდა აღინიშნოს, რომ ტურნირი ატარებდა ამხანაგურ ხასიათს, ორიენტირებული იყო მორაგბეებისთვის სათამაშო

დროის გაზრდაზე და მათ განვითარებაზე. ტურნირზე არ ვლინდებოდა გამარჯვებული, არ ეწყობოდა პლეი-ოფი და არც ცხრილი დგებოდა. ამ თამაშამდე ლელო 2-ს ქონდა მოგებული 2 თამაში და ხოლო არმიას არცერთი, მაგრამ მატჩი არმიამ მოიგო და სიტუაციაც დაიძაბა. ამ დროს მე, ორგანიზატორები და მეთვალყურე ვიდექით მოედნის ცენტრის გასწვრივ, მეთვალყურეს მაგიდასთან, ინციდენტიდან დაახლოებით 50 მეტრის მანძილზე, მაგრამ თავიდან ვერ მივხვდით რის გამო იყო ხმაური, რადგან შემდეგი მატჩი დაიწყო, თან ვუყურებდით და თან გვეგონა ეს ხმაური გულშემატკივრობისთვის დამახასიათებელი ოვაციებია-თქო. მაგრამ, როდესაც გაძლიერდა ხმაური და თან ვიღაცამ თქვა ტურიკას (მსაჯის ზემდეტსახელი) ცემენო, ყველანი სასწრაფოდ გავემართეთ კარებისკენ და შევესწარით ინციდენტს, სადაც მოედნის ღობესთან მდგარი გულშემატივარ/მშობლები აგინებდნენ და ემუქრებოდნენ როინ ბრეგვაძეს, რომელიც მოედნის შიგნით კარებთან იმყოფებოდა და მას ვიღაც აკავებდა. მას სახეზე ემჩნეოდა ტუჩის გახეთქვის კვალი და ცოტაოდენი სისხლი. ჩვენ ვეცადეთ დაგვეწყნარებინა გულშემატივარ/მშობლები, მაგრამ სიტუაცია არ განმუხტულა რამდენიმე წუთის განმავლობაში. მეტიც, გინება არ შეწყვეტილა და ამაზე მსაჯი როინ ბრეგვაძე, რომელიც შედარებით დაწყნარებული და უკან წასული იყო, თავიდან გაიწია მშობლებზე და მანაც დაუწყო გინება. ამაზე მშობლებმაც ანალოგიურად უპასუხეს და დაემუქრნენ კიდეც „გამოხვალ შენ გარეთ“ (და მსგავსი მუქარის შემცველი რეპლიკები). მშობლები აპელირებდნენ მსაჯის მიკერძოებაძე, კერძოდ შეაფასეს მისი ქმედება, როგორც სპეციალურად ლელოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებები. ასევე ეჭვ ქვეშ დააყენეს მისი სამსაჯო ხარისხი: „თვითონ თქვა ამ მსაჯმა 1 წლის წინ, რომ მსაჯობა არ ვიციო და რა უნდა ახლა რას მსაჯობს“ (მიახლოებითი რეპლიკა). ჩვენ მოვუწოდებდით ყველა მშობელს, პატივი ეცათ რაგბის ღირებულებებისთვის, მაგრამ მათ თქვეს რომ „მსაჯს აქვს გინების თმენის ვალდებულება“. ამის შემდეგ იყო ხმაურიანი შელაპარაკებები, ცოტა გაწევ-გამოწევა, რის მერეც სიტუაცია შედარებით დაწყნარდა და ნელ-ნელა მშობლები სრულად დაიშალნენ. დაახლოებით 30 წუთის შემდეგ ორგანიზატორებმა და მსაჯმა მშვიდობიანად დავტოვეთ სტადიონი.“

4. მატჩის მეთვალყურის, ნუგზარ მგელაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი (მოკლე რეზიუმე) - ნუგზარ მგელაძემ:
    - ✓ დააფიქსირა „ლელო 2“-ს მწვრთნელების მხრიდან მსაჯის გადაწყვეტილებაზე აპელირების ფაქტი;
    - ✓ არ შესწრებია „ლელო 2“-ს მოთამაშეების მშობლების მხრიდან მსაჯის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებს;
5. ტურნირზე სრკ-ს მიერ დანიშნული მეთვალყურის, ინგა კაზაროვას გამოკითხვის აუდიოჩანაწერი -

- ✓ ინგა კაზაროვა „ლელო 2“ – „არმია“-ს თამაშის დროს იმყოფებოდა სათამაშო მოედნის ღობის გარეთ, იქ შეკრებილი გულშემატკივრების/მოთამაშეების მშობლებისგან მოშორებით და ვერ დააფიქსირა „ლელო 2“-ს მწვრთნელების და/ან მოთამაშეთა მშობლების მიერ მსაჯის გადაწყვეტილებაზე აპელირების ფაქტი;
- ✓ ინგა კაზაროვამ ინციდენტამდე დატოვა სათამაშო მოედანის ტერიტორია და არ შესწრებია „ლელო2“-ს მოთამაშეების მშობლების მხრიდან მსაჯის სიტყვიერი და/ან ფიზიკური შერურაცხყოფის ფაქტს.

მსჯელობა

1. სადისციპლინო კომისიამ ფაქტობრივი მოცემულობის განხილვისა და მსჯელობის შემდეგ დადგენილად სცნო ლელო-2-ის მოთამაშეების მშობლების მხრიდან მსაჯის (როინ ბრეგვაძის) ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი, რამაც ირიბი პროვოცირება გაუწია ლელო-2-ის მწვრთნელის გ. ასათიანის მსაჯის გადაწყვეტილებაზე საჯაროდ აპელირებამ.
2. სადისციპლინო კომისია მიიჩნევს რომ :
   - ✓ ჭაბუკთა გუნდის მწვრთნელები უნდა აცნობიერებდნენ რომ მათი ქცევა თამაშის დროს დიდ გავლენას ახდენს მაყურებლებზე/მოთამაშეთა მშობლებზე რომლებმაც შესაძლოა არ იცოდნენ რაგბის თამაშის ყველა წესი და მწვრთნელების მხრიდან მსაჯის საჯარო კრიტიკა არის მაპროვოცირებელი მაყურებლების/მოთმაშეთა მშობლების ანალოგიურ და უმეტეს შემთხვევაში უფრო მძიმე არამართებული ქცევის ფაქტებს მატჩის ოფიციალური პირების მიმართ.
   - ✓ სრკ-ს მიერ ორგანიზებული ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდების შემოდგომის ტურნირი/ფესტივალი-ზე მომხდარი ინციდენტი (მსაჯის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა) კატეგორიულად მიუღებელია და ლახავს ისეთ ფუნდამენტალურ ფასეულობებსა და ღირებულებებს რაზეც ზოგადად დაფუძნებულია რაგბი, მით უმეტეს რომ ესეთი ინციდენტი ხდება მოზარდთა ტურნირზე.
   - ✓ ასევე დუშვებელია მსაჯის, როგორც მატჩის ოფიციალური პირის მხრიდან მაყურებლის/მოთამაშეთა მშიბლების მიმართ საპასუხო სიტყვიერი შეურცხყოფა, რასაც ადგილი ჰქონდა აღნიშნული ინციდენტის დროს. მიუხედავად სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისა მსაჯს გააჩნია ე.წ. „თმენის ვალდებულება“ და თუნდაც საკუთარი და მატჩის სხვა ოფიციალური პირების უსაფრთხოების გამო არ უნდა გაამწვავოს სიტუაცია. ხოლო სათამაშო სივრცეში ვინმეს მიერ ქცევის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში არსებობს

მატჩის ოფიციალური პირების მხრიდან სრკ-ს სადისციპლინო სამსახურში მიმართვის დადგენილი წესი.

- ✓ რაგბის თამაშის მონაწილეები არიან - მოთამაშეები, მწვრთნელები, მატჩის ოფიციალური პირები, რაგბთან დაკავშირებული ნებისმიერი როგორც კლუბების, ასევე რაგბის კავშირის სხვადასხვა თანამდებობის პირები და გულშემატკივრები. თითოეულ მათგანს თამაშის დროს გააჩნიათ საკუთარი წილი პასუხისმგებლობისა რომლის დაცვის გარეშეც შეუძლებელია დაცული იქნას თამაშის უპირველესი პრინციპები როგორიცაა ურთიერთ პატივისცემა და სარაგბო სულის მქონე გარემოს შექმნა.
- ✓ ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ტურნირი ატარებდა ამხანაგურ ხასიათს, ორიენტირებული იყო ჭაბუკი მორაგბეებისთვის სათამაშო დროის გაზრდაზე და მათ განვითარებაზე, ტურნირზე არ ვლინდებოდა გამარჯვებული, არ ეწყობოდა პლეი-ოფი და არ დგებოდა ცხრილი. ტურნირს არ ყავდა მასპიძელი და სტუმარი გუნდი, ვინაიდან იგი ორგანიზებული იყო სრკ-ს მიერ.
- ✓ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სადისციპლინო სხდომაზე ლელო-2-ის გუნდის წარმომადგენლების მხრიდან მომხდარი ფაქტის გამომწვევ მიზეზად დასახელდა ტურნირის ცუდი ორგანიზება და მსაჯობის არაკომპეტენტურობა.

და ბოლოს, სდისციპლინო კომისია მიიჩნევს, რომ არ არსებობს რაიმე მიზეზი, რომელიც შეიძლება მოყვანილი იქნას, როგორც მომხდარი აღმაშფოთებელი ფაქტის რამენაირად გამამართლებელ არგუმენტად და მატჩის ოფიციალური პირის ფიზიკური შეურაცხყოფის ამ ფაქტს უნდა მოჰყვეს არა მარტო სრკ-ს შესაბამისი რეაგირება, არამედ მთელი სარაგბო თემის მხრიდან საყოველთაო და საჯარო დაგმობა.

გამოკითხვებისა და წარმოდეგენილი მასალების მიხედვით კომისია მივიდა იმ დასკვნამდე რომ ჭაბუკთა ტურნირზე მომხდარი ეს მძიმე ფაქტი გამოხატულებაა იმისა, თუ ზოგადად როგორი არაჯანსაღი დამოკიდებულება აქვს კონკრეტულ გუნდს და მის გულშემარტკივრებს/მოთამაშეთა მშობლებს მატჩის ოფიციალური პირების მიმართ, რაც ეწინააღმდეგება რაგბის ძირითად ფუნდამენტურ პრინციპებს. აღნიშნულს ამყარებს ის ფაქტიც რომ მსაჯზე თავდასხმა და სიტყვიერი შეურაცხყოფა იყო ჯგუფური და კონფლიქტში გაშველების მიზნით მხოლოდ მას მერე ჩაერთვნენ გუნდის წარმომადგენლები და მოთამაშეები, როდესაც მსაჯს ფიზიკურად გაუსწორდნენ.

სადისციპლინო კომისიამ ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდის „ლელო 2“-ის წარმომადგენლების მხრიდან დარღვეულად ცნო სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის შემდეგი პუნქტების დარღვევა:

ქცევის კოდექსი

პიროვნება/სრკ-ს წევრი სუბიექტი ვალდებულია:

8.2. იზრუნოს იმაზე, რომ რაგბის თამაში წარიმართოს დისციპლინის და სპორტული ქცევის პრინციპების დაცვით; გააცნობიეროს, რომ ამ პრინციპების დაცვა არ არის მხოლოდ მატჩის ოფიციალური პირების მოვალეობა;

8.5. აღიაროს მატჩის ოფიციალური პირების ავტორიტეტი და დაემორჩილოს მათ გადაწყვეტილებებს;

8.6. საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას;

„ლელო 2“-ს წარმომადგენლების მხრიდან ზემოჩამოთვლილი ქცევის კოდექსის პუნქტების დარღვევამ ირიბი პროვოცირება გაუწია სათამაშო მოედანთან შეკრებილი „ლელო 2“-ს მოთამაშეთა მშობლების მხრიდან მატჩის მსაჯის ჯგუფურად სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტს.

დარღვევის ხასიათისა და მისი სიმძიმის გათვალისწინებით, სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის **9.4** (ქცევის კოდექსის დარღვევისთვის და არამართებული ქცევისთვის, სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია დამრღვევ პიროვნებას და მის სრკ-ს წევრ სუბიექტს დააკისროს ქვემოთ ჩამოთვლილი და/ან სხვა შესაბამისი სანქციები.) პუნქტის **ა)** (გაფრთხილება, გაკიცხვა;), **გ)** (გაძევება ტურნირის და/ან მატჩების სერიის დარჩენილი ნაწილიდან;) და **ზ)** (სრკ-ს მიერ ორგანიზებული თამაშების დროს სათამაშო სივრცეში ან სათამაშო პერიმეტრში დაშვების აკრძალვა;) ქვეპუნქტებით და მიიღო შემდეგი

გადაწყვეტილება

1. თბ „ლელო 2“ გაძევებული იქნას სრკ-ს მიერ ორგანიზებული ჭაბუკთა „ბ“ ლიგის 2023-2024 წლის სათამაშო სეზონის გათამაშების დარჩენილი ნაწილიდან.
2. თბ „ლელო 2“-ს მწვრთნელი, გიორგი ასათიანი დისკვალიფიცირებული იქნას 5(ხუთი) კვირით **პირობითად** და აეკრძალოს რაგბის ნებისმიერ დონის თამაშის დროს ყოველგვარი აქტივობა სათამაშო პერიმეტრში• 2023-2024 სათამაშო სეზონის დასრულებამდე. პირობითი დისკვალიფიკაცია გულისხმობს, რომ 2023-2024 სათამაშო სეზონის განმავლობაში ანალოგიური დარღვევის შემთხვევაში გიორგი ასათიანს, დარღვევისთვის შეფარდებულ სანქციას დაემატება ამ გადაწყვეტილებით მიღებული პირობითი სანქციით განსაზღვრული სანქცია.
3. სრკ-ს მსაჯს, როინ ბრეგვაძეს მიეცეს გაფრთხილება.

• სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 2. ტერმინთა განმარტება: 2.13. სათამაშო პერიმეტრი - სათამაშო მოედანი და მისი მიდებარე ტერიტორია (ტექნიკური ზონა, სინ ბინი, მატჩის კომისრის ადგილი და ა.შ.). არ მოიცავს სტადიონის ტრიბუნებს.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	14/12/2023

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]